

პირს, 2 აპრილი 1917 წ.

ნედარციის აღმასი:  
თფილიხი, ოლას ქუჩა, № 6.

== ვასე 15 კაპ. ==

# გ რ ე ბ რ ა დ ი კ

Nº 14


(ა) (ბ) (გ) (დ) (ე) (ვ) (ზ) (1917)

შინაარსი: აღდგომა — ეჭმაკი, ვარტენი — მორიელი.  
ვიდრება — კოდო. შილოცები, პრისტავების მიწერ-მოწერა —  
გოგა. მიტანგი პროვინციაში — ძ. ქუთაისა — სატანა. ვარლამუხი — ეს. მოთქმა ჯიბურებისა — შანთი. ხო-

ნილან — ი. გოლგოთელი. მოხსენება. ვინც გამდიდრდა —  
ჩრჩილი.

კარიკატურები: თანამედროვე რიგი. ერთი მათგანი.  
ნი. მილოცები.

## თანამედროვე რიგი



# კ ლ დ გ ო მ ა

აღსდგა გმირი სიკვდილისა დამთრგუნველი,  
და დაემხო მტარგალობის ტახტი ძველი.

აღსდგა, ვით ზღვა შფოთიანი, ხალხის რისხეა  
და ბორკილი თვითნებობის მყის დამსხვრა.

ეს აღდგომა არ ჩამოჰვავს აღრე ნახულს!  
არ ჩამოჰვავს გაზაფხულიც ძველ გაზაფხულს.

დღეს აღდგომა ნათელია ვით მზის სხივი,  
გაზაფხული ბრწყინავს, როგორც ბროლის მძივი.

საპირადო დაიმარხა სევდა—დარდი,  
დღეს ჩვენს გულში სამაიო ყვავის გარდი  
აღსდგა ხალხი, სიკვდილისა დამთრგუნველი,  
და დაემხო ბორკოტების ზღუდე ბნელი.

ეს აღდგომა სხვა აღდგომას არ ჰვავს, არა!  
ჰქარისბს მიწა და ელვარებს ცის კამარა!  
აღსდგა მკვდრეთით დამარხული გმირთა რისხეა,  
და აპლელდა წითელ დროშათ წითელი ზღვა.

მ აღდგომას მე აღრე არ მოველოდი.  
ამირანის მკლავმა დასრულა მძიმე ლოდი.  
ლოდი მძმე გმირთა საფლავს რომ ეყუდა  
აღსდგა ხალხი და დაემხო ძირს იუდა.

ზარბაზანბა გუთანს ძმობა შემოჰვიცა!  
ჯარისკაცმა მუშას ძმური ხელი მისცა!  
აღსდგა ხალხი, აღსდგა მკვდრეთით ბაყბაყ-მდევი,  
ეს აღდგომა პირველია, ჯერ უწვევი.

რო შევყურებ ამწანებულ მინდორ მდელოს,  
უკვე ვხედავ მკვდრეთით აღმდგარ საქართველოს!  
მას მონაბის ბორკილები დაელეწა,  
მხიარულობს და დაპხარის მალლით ზეცა.


არა, არა აღდგომაა სულ სხვა სახის!  
იგი მკვდრეთით აღდგომაა ბედურულ ხალხის.  
გაზაფხულიც არ გინახავს მსგავსი წინა:  
დღეს მერცხლები ჩრდილოეთით მოგვევლინა.

გაუმარჯოს მაშ აღდგომას პირველნახულს!  
გაუმარჯოს მაშ ამ დროშებს, ამ გაზაფხულს!  
გაუმარჯოს მერცხლებს შორით მოფრენილებს!  
გაუმარჯოს სახელოვან ხალხის შვილებს!

აღსდგა ხალხი სიკვდილისა დამთრგუნველი  
და დაინგრა ბორკოტების ზღუდე ბნელი,  
აღსდგენ გმირნი, დაცუმულნი მმობის ხიდათ,  
აღსდგა მმობა და ერთობა ჭეშმარიტა!

ეშმაკი.

## სააღდგომო მილოცვები



ეს თაიგული სამკაულების  
კალო გაფხევილ  
თავისა ქელების,  
ეს ბორკილები და სახრჩობელა  
ძევლი მთავრობის  
განჩია ყველა...  
ძლევამოსილი იმითი იყო  
აწ დანატყვევი  
ბატონი ნიკა.  
მისი კანონი, მართლმაჯულება,  
იყო იმითი  
ბრძა ერთგულება.  
ვინც მოითხოვდა წმინდა სამართალი,  
სახრჩობელაზე  
იწყებდა კვანტალს.  
თავისუფლების ვინც იყო მცველი  
მას ქდლეოდა  
ცობირი ვრცელი.  
ვინც პურს ითხოვდა, აძლევდენ ქვასა,  
ვინაც სიხარულს,  
მას ცრემლთა ზღვასა.  
და ჰა, მიეზო მას სასყიდელი,  
ჩვენც შევთავაზოთ  
დროშა წითელი!

ტრფობის ზღვა არის გული ქალისა,  
მათში ბირველი  
გახლავთ აღისა.  
თუმც მეფე იყო გვირგინოსანი,  
მაგრამ მას სმაგდა  
კარის შესანი.  
იგი შესტრფოდა „დაბალ წოდებას“,  
(ლმერთა შეუნდობს  
ამ შეცოდებას!)

და მაშინ ჰქონდა გულს მისის ლხინი,  
როდესაც ახლო  
ჰყეა რასპუტინი.

და მოციქულთა ამგვართა სწორი  
ქლევა-მისილი  
„მამა“ გრიგორი,  
იყო ის ბურჯა განსევნებისა,  
სად დელოფალი  
ყოფად ნებისა,  
ჰელძნობდა სიმშეიდეს და შეუდროებას  
(ბოლო მოელო  
აწ იმ დროებას!)

და რომ ვახროთ გული ქალისა  
გუძღვნათ სურათი  
მისი ცალისა.

# ვ ქ რ ღ მ ე ბ

ვიცი იკითხავთ, თუ რისთვის ჯიყვარს მე ასე გაგიუშებით ძეირტასი ვარდენ ზურგიელიძე?\*)

მოგახსენებთ.

პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ ამ პარტიული ციებ ჟენერალების დროს, ჩვენ ორივენი უბარტიონი ვრთ.

შემდგომად ამისა ჩვენ ორივენი პატიოსანი და გულწრფელი მოლვაწეები ვართ. თითოეული ჩვენი სიტყვა გულის სილრმიდან ამოდის და წმინდაა, როგორც კლდის ნაპრალიდან გადმოდენილი ანკარა წყარო.

მგონი კმარა რაცა ვთქვი იმად, რომ ჩემი მეგობარი, ვარდენ ზურგიელიძე, ასე გაგიუშებით მიყვარდეს. როცა მე ვარდენს დავინახავ, სახე გამინათლდება, და ვატყობ, რომ ჩემი დანახვით იმის გულშიაც სიხარულის ჩირალდანი აენთო. ვარდენი მარტო მე როდი მიყვარს მას მთელი საზოგადოება იცნობს და ვინც იცნობს ყველას უყვარს. უყვართ ისე, როგორც მე, გულწრფელობისა და უბარტიონისათვის.

ვარდენი მოძრავი კაცია. სად უნდა წახვიდეთ მას არ გადაეყაროთ. ნაცნობ-მეგობართა სიმრავლის გამო ქუდი ხელით ატარებს, მოხდასა და დასურვას ვერ ასწრობს.

აი ვარდენ ახალი კლუბის წინ, სასახლის ქუჩაზე სდგას. ის ვიღაც ნაციონალ დემოკრატის ეკამათება.

— მე თუ მკითხავ,— ამბობს გაუხარებული ვარდენი: წმინდა ნაციონალ დემოკრატი ვარ, ნაციაცა მწამს და დემოკრატიაც. მომავალი უთუოდ ნაციონალ დემოკრატიას დარჩება...

და ამ სიტყვებში ბროლის სისკეტაკით მოსწრებს ვარდენის გულწრფელობა, მასი კეშმარიტი გატაცება ნაციონალურისა და დემოკრატიულის იდეალებით.

— მე ყოველთვის ვაშბობდი, რომ ქართველ ხალხს...

მაგრამ აი, მოულოდნელათ, ქუჩის მეორე მხარეს ვარდენი თვალს მოკვრავს მეორე მეგობარს, ბავშვურის გულწრფელობით სწყვეტს მომაბეჭრებელ პარტიულ კამათს, ახალ მეგობართან გადადის. და აი ლალიძის ქარხნის წინ ვარდენი ცხარეთ ეკამათბა ფედერალისტ გიგო ცხვირაძეს, რომელსაც გასაოცარის შორს მჭერეტველობით მოკვრა თვალ შეუჩის მეორე მხრიდან.

— მე არსებითად სოციალისტი ვარ და ფერაციის წინააღმდეგ განა შეიძლება კატა რამე სთქვას? მაკვირვებს რისთვის უნდა იყოს ჩვენ შორის...

ცხარობს ძეირფასი ვარდენი, ცხარობს გულწრფელად, გატაცებით. მას უნდა გარკვევა იმ უთანხმოებისა, რომელიც არსებობს მის მსოფლმხედველობასა და გიგო ცხვირაძის რწმენის შორის, მაგრამ, აგე სოციალ დემოკრატი დავით მეზაძე სადღაც მიეშურება და თუ ვარდენ კამათს არ შესწყვეტს შეიძლება მეგობარი ხელიდან დაუსხლოს.

„ერთობის“ რედაქციის წინ ვარდენი გატაცებით ეკამათება დავით მუშაძეს და კვლავ მოსჩერებს ბაგეთა მისთაგან გულწრფელ სიტყვათა ნაკადული.

— მე გულით და სულით სოციალ-დემოკრატი ვარ. განა შეიძლება კაცი სოციალ დემოკრატი არ იყოს? რასაკვირველია მე განსაკუთრებული...

არ დასკალდა აზრის დამთავრება საყვარელ მეგობარს, ვინაიდნ „შმური ნუვეშის“ წინ მნ არჩილ ბუკეძე დაინახა და მყის მისენ გაეშურა.

— სწორეთ მეც ეგრე ვფიქრობ. საზოგადოთ ირავისთვის საიდუმლო არ აზრის და არც ვმალავ ამას, რომ მე რწმენით სოციალისტ რევოლუციუნერი ვარ. ჩემის ღრმა რწმენით ეს ერთად-ერთი პარტია, რომელიც...

და აი ნიკა ფეთაძის შორით თვალ მოკრულ მა სახემ თავისკენ მიიზიდა ძეირფასი მეგობარის გულში სიხარულის კოცონს აღვივებს. არსებითად მე ნამდვილი ანარქისტი ვარ. ჩემი შეხედულობა

— მომილოცავს, მომილოცავს მეგობარო თავ გისუფლება. თითოეული ანარქისტის დანახეა ჩემს გულში სიხარულის კოცონს აღვივებს. არსებითად მე ნამდვილი ანარქისტი ვარ. ჩემი შეხედულობა

\*) ეს საკულ წოდება ფსევდონიმია.

ანარქისტების შესახებ არა ერთხელ გამომითქვამს პრესაში და ახლა(?)...

ქუჩის მეორე მხარეზე გაშოჩნდა ქ-ი თამარ.  
ვარდენი მყის იქით გადაიღდა და განაგრძო გზა.

မြတ်စွာလောက်

ବ୍ୟାଙ୍ଗନାମି

საღამოს, დაწოლისას,  
კიჩოქებ ხატის წინ, და  
მეუფეს ესმის ჩემი  
ლოცვა ველრება წმინდა.  
სიშმრათაც თვალწინ მიღდა  
ხატი ძლევა მოსილი  
და მხურვალეთ ვლოცულობ,  
მოხოლის დაჩოქითი.

ଦୟାଲୁକ, ହୃଦ୍ୟା ଏବଂଦ୍ୟବୀ,  
କ୍ଷାମାଦ ଶ୍ରେଣ ଅପ୍ଯନୋଦିଲୋ  
ଶ୍ରେମର୍ଜ୍ଯମେଇସ ପ୍ରେସେନ୍଱୍ରବୀ,  
ଶ୍ରେଵଳିତ ଶ୍ରେଣ ଗାନ୍ଧାରିଲୋ.  
ଏସ, ଦ୍ରାବନ୍-ଦାମିବାନ,  
ଲୋକ୍ରା ଗମ୍ଭେରମ୍ଭେଲୁଣ୍ଠ,  
ଲାମିଦ ଶ୍ରେବା ଶ୍ରେବନ୍ଦ୍ୟ,  
ଦିନରୀ ରାଜ୍ୟପାଦିଲୁଣ୍ଠ.

ଅର୍ପା, ଅର୍ପା! ଅମିଲତାଙ୍କୁ  
ମେ ଲମ୍ବାରୁଟି ଏହା ଗ୍ରାମମଧ୍ୟରେ,  
ଅମିଲାତଙ୍କୁଠି ଦଳେ ଦା ଲାଥ  
ଲାନ୍ତରୁଗାଲ ଏହା ଗ୍ରାମରୁକ୍ରମିତିରେ।

იქნებ ფიქრობთ შევთხოვდე  
ჩინსა და ტემლაკებსა?..

ორივე წაულია  
ქაჯსა და ეშმაკებსა.

მე არა მსურს ძირთასი,  
უხვი დედულ-მამული,  
არც ვაჭართა ქონქბა  
საღლაპ გაღამძლული.

ମେ ଏହି ଲୋଳି କୁଳୀଙ୍କ ଶିଖରୀ,  
ବୋଲିବେଳା, ତୁ ଦେଖିବାରୀ  
ଏହିପାଇ ତାଗିଜୁଦ୍ଧିରିବା  
କୁଣ୍ଡିଲୁଚ୍ଛୁଟିବାରୀ.

მაშ ჩა არის მიზეზი  
ჩემი გულმოლგინების  
და ასე განუწყვეტლივ  
ლოცვათა აღლონების?

၁၀ ရှေ့ပြန်လည်

— იმისთვის დაგალ ეკლესიაში,  
რომ ჯერ ჩემი სახელი  
არ სჩანს ჯაშუშთ სიაში.


ဒေဝါ ဂုဏ်စာ ၅၂ အရ သံချေလွှာ၊  
၉၁ ၉၀၈ ပုဂ္ဂနိုင် ဒါကျေများ၊  
ဇန်နဝါရီ ၁၇၃၄ ခုနှစ်၊  
နေ့တွင် ၁၇၃၅ ခုနှစ်၊

၁၀ မျှော်လွန်ခဲ့လော်၊  
၁၂ လွှာပြောတဲ့ ရှေ့ ဂုဏ်ရွှေပဲ၊  
၁၅ ကျော်မိုး ၈၂၊ ဒေါ်ပြောလှစာတွေပဲ  
၁၇ ရှေ့ပူး ခံပဲမာရွှေပဲ。

ଦା ନୁହୁ ମେ କ୍ଷୀତଶୁଳନ୍ଧ  
ମଦାତ ଶାଖେ ଗ୍ରାହୀର୍ଥସା  
ଶାଲକୀର ଚ୍ଯାପଲା-କରୁଣାମି  
ଅଶ୍ଵିର ଶାନ୍ତାର୍ଥୀର୍ଥସା-

კშიშობ: მათში არ ვნახო  
ჩემი სახელ წოდება,  
აი, ველრებისათვის  
ლრო რათ არ მეტოგება.

## სააღდგომო მილოცვები



განახლდა და ოლსდგა რუსეთი დიალი,  
დაქმხო შავი დრო,  
დაქმხო წყვდიალი.  
დაიმსხრა დესპოტის ხელმა რაც გასჭელა  
და ოლსდგა რუსეთი!  
ჰელდათ რა გაპჩედა?!

მონობის უდელი აწ აღარ გასტანჯავს,  
ვიზ რა ლამაზია!  
იგი ძევლს არა ჰევას!  
ევროპის ჯალათი, ევროპის უანდარი  
მშვენება შეიქნა  
აწ მუზის სადარი.

ის აფრქვევს ქვეყანას სხიეს სიუვარულისა,  
ფაქიზი ლუნების,  
ფაქიზი გულისა!  
იხარე, ვიდრემდის ეგ სახე გშთენა,  
ერთობის და მმობის  
გწყალობდეს გენია.


გისურვებთ სიმტკიცეს და ენერგიასა,  
გულში ცეცხლს ტრთობისას,  
გარდა და იასა.

რუსეთის ერებო, ბედმა ეს გვარგუნა:  
მამათ ვინც მივიღეთ  
თავს ჩაგვიკაკუნა.  
დედათ ვინც დავსახეთ, გვედელინაცვლა,  
მან ტანჯვა-წამებით  
ცრემლისგან დაგვცალა.

განა ვინ აგვიწერს იმ ბედის სიავეს,  
როს გაგვანადგურეს,  
და გაგვანიავეს,  
როცა ჩვენს მოთქმაზე მათ გული ახარეს  
და გერათ მიჩნეულთ  
ღირსება აგვყარეს.

გაპქრა ის შავი დრო, მწარ მოსაგონები,  
ბორკილი დაიმსხრა,  
აღვსდექთ მონები!  
აღვსდექთ, რომ შევკრათ აწ მშრი კაშირი,  
შორს ჩვენგან წარსულის  
სიავე და კირი.

## საალდგომო ქილოცვები



ბნელეთის დამხობა დღეს ვის არ სმენია  
სასტიკა დაუდგა  
მის ბურჯვებს დღენია.  
ჩინებს რო ელოდა ვარსკვლავთა პალატა  
დღეს ყველა ციხეში  
მწყობრ მოეკალათა.

ვარსკვლავებს ელოდენ მცერდო დასაკიდებათ,  
ორდენს და საჩუქარს  
განცხრომათ, დიდებათ,  
და იმ მოუსწრო დღემ განკითხვისამა,  
გადადარჩა, ვანც იგი  
დროზედვე იწამი.

დიდაარს სიმძიმე იმათი ცოდვისა,  
დიდაარს სიმძიმე  
დამსხრეულ ლოდისა.  
სხვის ცრემლზე ააგო მან თვისი განცხრომა,  
მას ლხენა, სიამე,  
სხვას—ტანჯვა და შრომა.

დაქმხო იმათი დრო ნეტარებისა,  
მოლხენით ცხოვრების,  
ჩინ-ტემლაკ-ჯვრებისა.  
თავისი წილ-ხვედრი ჰაბას ყველიძ ზიდოსა,  
ერთი როს ეცხოვნოს,  
სხვა წარიშტმიდოსა.

თავისუფლებას თვისი ჰყავს მცველები,  
(ვის არა ეზოგვის  
ღარღილად ყელები!)


დღეს ლვაწლი იმათი ფას-დაუდებია...  
(წუუხდათ სულყველას  
მქუხარე ხმებია)

იქ, სადაც ტრიბუნა სახალხო დაიდგმის,  
იმათი ყიყინა  
და ჰექა გაისმის,  
ჰყივიან, ჰგრგვინავენ და სუექენ ქეზულათ,  
ხელ მოქნავნი  
თავ გადადეულათ.

არ ზოგვენ ხალხისთვის დროს მოსასწრაფებსა  
არ ზოგვენ ხელკუნთებს  
და ყორყის ძაფებსა.  
ამხელენ განვლილთა დროთ საშინელებას,  
(არ ერთდებიან  
სიტყვათა გრძელებას!)


და იმ ვინც ნახოთ ხმა ჩანახრინწები,  
ისინი არიან  
ტრიბუნის ბიქები.  
ჩვენ იმათ ვერ შევძენთ სიმძიმეს ჯიბერა,  
მათ ეუდღვნით თოხლო კვერცხს  
და მოძრავ კიბეთა.

# ପରିବାର ମାତ୍ରାଙ୍କିଳି



ეს სურათი გამოხატავს ეროვნებათა საკითხს ამიერ კავკასიაში. განხვენებული ცენტურა, როცა ამ სურათს იჰქოდა, წმინდა პოლიტიკური მოსაზრებით სელექციას ეფუძნდა. ამასრაა აქ გამოთქმული აზრი დასამცირებელი იურ ბიუროკრატიის უბიწოებისა და ამიტომაც თავის დროზე წითელი ჯვარი დაესახოდა.

## ე რ თ ი მ ა თ გ ა ნ ი



ამა სურათზე გამოსატულია ეგრეთ წოდებული «ვაძლი განხეოჭილებისა» („Яблоко раздора“). ეს ექმაკური საქანელა მთელი თავისი სიმძიმით დაურღნობილია მუშათა ზურგზე.

დღეს ამ თამაშს ბოლო მოედო. შეწუხებული მუშა აღსდგა და საქანელა დაქმნო.

# პრისტავების მიწურ - მოცერა

მომქმედნი პირი:

1. ჩკვდარი პრისტავი
2. ცოცხალი პრისტავი

**ჩკვდარი** (საიქიოლან ცოცხალი): ძვირფასო, მუდამ უამს და ყოველ ადგილას მოსავონარო, ივან პეტროვიჩ! მოგიყითხამ დიდის სიყვარულით და უძლეს სალამს უძღვნი თქვენს მეუღლეს პატივ-ცემულ ანტანინა კანსტანტინოვნას. იმედია ჩემს ამბავს იკითხამთ და უნდა მოგახსენოთ, რომ ძალიან შევიწროებულ შდგომარებაში ვარ. მართალია მაგ ქვეყანაში მე ბევრი ქრთამები იწავნე და კაი თანხაც წამოვიღე აქ, მაგრამ ხომ იცი ჩემი ამბავი. კარტი, ღვინო, დუღუვი, ქალები — სულერთიან წამივიდა ხელიდან. ას, რა სათლელი მსუქანი დუმა იყო ეგ მეექსე უჩასტე! შე პარმალო, ვინ იცის ეხლა შენ მილიონის პატრონიც გახდი! ეჭ, ძმაო, ღმერთმა მოგცეს, ოლონდ მე ნუ დამიღწეუდ და ამ გაჭირების ღროს ხელი გამომიწოდე. წარმოიღონე აღდგომა თენდება და მე კი ერთი კვერცხიც არა მაქსი, რომ შევღებო და პრაზნიქს მივევებო! წამე ღმერთი, ივან პეტროვიჩ, გამომიგზავნე რიმე და ამ გაჭირვებას გადამარჩინე. მგზავრებს ბევრს იშვივი ძერთ წამომსვლელებს. შეტი სისქნი ადელენიაში და იქ ხომ იცი ყოველ დღე კვდება თითო ოროლა კაცი შპიკებისა და უნდარმების ცემა-ტყებით და იმათ გამოატანე. თუ არ და შენ ჩახრჩე ვანშე ზრდაშიცაში. გრძები თუ რამე ექნება, შენ დაგრჩება და კაცის პასუხს ხომ არ იგებ, რა გენალოლება! ამნაირად მგზავრი გაგიჩნდება და მეც მომიმადლიერებ. მხოლოდ არ უძრა რა რომ მე პრისტავი ვარ, თორემ არ მომიტანენ.

აბა, ვანო, თუ ძმობა გწამს,  
გამიკითხე, შემიბრალე,  
ცოტა რამე მომაწოდე,  
მე ჯენს ძმობას ვენაცვალე.

შშიერი და გაფხექილი  
პირქვე ვგლივარ, მუდამ ვსტირი,  
ნუ დამტოვებ საალდგომოთ  
გამისველე, ბიჭო, პარი.

**ცოცხალი** (პასუხი საქაოლან მკვდარს): ჩემო პეტრ იყანიჩ! რომ იტყვიონ: „მკვდარი მკვდა აყენიდა, სამარემდის მიმიტანეო“. სწორები ისე უნი საქმე. აბა, სიმშილი და უბედურება ჩემი ჲ თორემ შენ ბატონი ხარ ჩემთან. შენ მაინც მე ში ხარ დამალული და არავინ გდევნის და მე რომელ სოროში შევყო თავი და რომელ ხერულ შევძერე აღარ ვიცი! ზეზეურათ გამოყელეს და გ მათასისებ კაცი. დიდი და პატარა, ქალი და კაცელა მე მაფურტხებს თვალში. ჩემი სახე პირ პირ აბათუმანის ჩიხოტეიანების პლევატელნიც მოგაგონებს.

აღარ არის ის პატივი:  
ინდოური, გოჭ-ქათამი,  
გაძერა ყველა, დაიკარგა  
ის მსუქანი ძევლი ქრთამი!

დაგვიმარცხდა მბრძანებელი,  
ნიკოლოზი პირი მზისა,  
ყველანი ძირს გადმოგყურეს  
დაგვეფუკა ქრთამის ქისა.

აგვაგლიჯეს და აგვაბდლვნეს:  
კანტები და პაგონები,  
თოფი, ხმალი, რევოლვერი,  
პეტლიცები და შპორები!

დაგვბერტუეს ვით მწარე პანტა  
და გვადინეს ცხვირში მარი,  
დაიჯერე, პეტრ ივანიჩ,  
არ გეგონოს ეგ სიზმარი.

პრიკაშჩიკებს უბატონოთ  
ხმა რომ გასცე ნუ გგონია,  
ვიღაც მუშა გამურული  
მთელი ქვეყნის ბატონია!

პეტრ ივანიჩ, შავიშალე,  
დამეკარგა ქევა-გონება,  
თავზარსა მცემს მე წარსული  
ფუფუნების მოგონება.

აღარ ცევრცხი აღარ ცასკა,  
ჩემ სახლში არ იპოვება,  
ძალათ არვინ მაგდებს, ძმაო,  
სულ არავინ მეპუება.

შე რა მაქვს და შენ რა მოგცე  
შეც სიმშილით მძღება სული,  
ვით ღამურა ფუღუროში  
ისე ვზივარ დამალული!

აღრე ვისაც ქრთამი ვართვი,  
მივაყენე დღეი ცხელი,  
სწორეთ იგი ბატონია,  
ის არს ჩემი მბრძანებელი  
სალდათები მათ უჯერის,  
კაზაკები, ერთად ცველა,  
მათმა მზერამ, წითელ დროშამ  
სულ თვალები დამიბნელი!  
მაგრამ რას ვიქ, ძალა იოხ,  
ეს დროება არის კაბე,  
ერთ დროს მსუქან-გაბერილი  
დაიფუკა ჩემი ჯიბე.

ამ ქვეყანის პირი არ მაქვს  
ძლიერსა დფეთქავ სულთმამარქავი  
დღეს აღდგომაც, ახლწელიც  
ჩემთვის არის, ძმაო შავი.

პოზიციაზე მგზავნიან  
ფუფუნებას მიწევულსა,  
რა ვქა პეტკა, სად წავიდე,  
მეკიდება ცეცხლი გულსა!  
პოლიციესტარს, აკალოშნიკს,  
გორილოვებს და დეორნიკებს,  
ყველას ომში აგზავნიან  
ვეზიის ნაჩალიკს და შეიქებს!  
დრო იპოვეს, გამოგვეხს  
და იძიეს ჩევნზე შური,  
შეგვარცხინეს, თავი მოგვერეს  
და წაგვისვეს ცხვირზე მური!

ცოლშვილს რომ გამოვთხოვდით  
არ გავიშვეს ორი დღითა,  
ეჭ... აწ კმირა, ბალე გნახამ  
ჯერ-ჯერობით მშეიდობითა.

ზოგია.

## მიტინგი პროვენციაში

**1-ლი ორატ.:** აღსრულდა! მძლავრი მტარვალი  
დაეცა, სული დალია!  
გათენდა,—აღმოსავლეთით  
ამოდის მზე ცხრა-თვალია...  
მშრომელო ხალხი! იკურთხოს  
შენი ღონე და ძალია,  
შენ დააგლიჯე ხორცი მტერს,  
შენ დაულეშე ძვალია!  
მოქალაქენო სიწყნარე  
დავიცვათ-ჩევნი ვალია...  
მტერს არა სძინაეს, იცოდეთ  
მარჯვეთ გეჭიროთ თვალია!

(გამაყრუებელი ტაშის ცემა და „ვაშას“ ძახილ

**მე 2-ე ორატ.:** გათენდა, აღმოსავლეთით  
ამოდის მზე ცხრა თვალია!  
აღსრულდა! მძლავრი მტარვალ  
დაეცა, სული დალია...  
მაგრამ სულ კი არ მომკვდარს:  
მარჯვეთ გეჭიროთ თვალია!  
მოქალაქენო! იკურთხოს  
მშრომელი ხალხის ძალი!  
მან ერთმა დასცა მტარვალი  
და დაულეშა ძვალია,  
გააღო ციხის კარიბი,  
დაფშენა ეს კაცთა გალია?  
დავიცვათ თავისუფლება,  
მშებო, ეს ჩევნი ვალია...  
(ზომიერი ტაშის ცემა და „ვაშას“ ძახილი)

**მე 3-ე ორატ.:** მოქალაქენო! გილოცავთ, —  
მტარვალმა სული დალია!  
მშრომელმა ხალხმა შემუსრა  
და დაულეშა ძვალია  
იკურთხოს როვოლუციის  
დევ-გმირთა ღონე-ძალია!  
მათი წყილობით ამოდის  
ცხოველი მზე ცხრა თვალია  
კვლავ ტრიბუნაზედ ავდივარ  
რას ხედავს ჩევნი თვალია!

გასწორდა გლეხი-თვალი,  
გასწორდა კაცი ქალია...  
(ზოგიერთების სახეზე უკმაყოფილების სსივი გა-  
დაირჩენს)

დარაჯათ ვექმნეთ ამ ყოფას  
ეს ჩვენი წმინდა ვალია!  
(მისუსტებული ტაშის ცემა და აქა იქ „ვაშას“  
ძახილი).

**მე 4-ე ორატ.:** ამხანაგებო მშრომელ ხალხს  
მსურს დავულოცო ძალია.  
მან ჩასცა მტარვალს მახვილი  
და შეუტუსრა ძალია!  
მან ერთმა ამოიყვანა  
მხურვალე მზე ცხრა თვალია,  
მან გაუსტორა თავალსა  
გლეხი და კაცა ქალია!  
„ვაშა მას!“, ვსთქავთ ჩვენ ჩხა მაღლა  
ძმებო, ეს ჩვენი ვალია!  
(ორიოდე კაცის ტაში)

**1-ლი მოქალაქე (ჩუმათ)** ბოლო არ უჩანს...  
ვაი თქვენ კი გაგიხმეთ ენა!

**მე 2-ე მოქალაქე.** სწორეთ მომშეზრდა  
ერთხელ თქმულის ასჯერ მოსმენა.

**მე 3-ე მოქალაქე:** —ახ, ნეტავ ერთი გაწვიმდებოდეს!  
(ტრიბუნაზე ადის მე ნ-ე ორატორი)

**მე 4-ე მოქალაქე:** —ახალ რამესა მაინც იტყოდეს...

**მე 5-ე ორატ.:** აღსრულდა! მძლავრი მტარვალი  
დაეცა, სული დალია!

(ხალხი აირევ-დაირევა)  
მოქალაქენო! სიჭყარე  
დავიცვათ—ჩვენი ვალია...

(ხალხი ცდილობს დაწყნარდეს, მაგრამ ვერ ახერხდეს).  
გათენდა, აღმოსავლეთით  
ამოდის მზე ცხრათვალია!  
(ჩოქეოლი)

**მე 5-ე მოქ. (ჩუმათ)** სანამ მაქ აფორთხდებოდი,  
რათ არ დაგიდგა თვალია!  
(ჩოქეოლი თანდათან მატულობს. დაიწყება  
საშინელი ხელა. სრული უწესაგობაა. ტრიბუ-  
ნაზე ადის თავმჯდომარე; ის აცხადებს, რომ ჩიწე-  
რილია კიდავ ორმოცი ორატორი და წინადადებას  
იძლევა,—რადგანაც ხალხს დაღლილობა დაეტყო, —

ათი წუთით დაისვენონ; წინადადებას ერთხმათ  
იღებენ, წინამღლევე ორატორების ენერგიული  
პროტესტისა).

d.

## ქ უ თ ა ი ს ი

(10 მარტი)

ყველგან ქუჩა გაბატონდა,  
შურს იძიებს ისევ ქუჩა,  
ძველი მოსპეს, აღარ დარჩა  
ბრძანებელნი ერთი მუქა!  
ციხეც ძველებს აღარ ინდობს,  
გულში იქრავს ეხლა ახლებს.  
რა თქმა უნდა ქუჩის ძალა  
ქუთასისც განაახლებს!  
უპრავაში კრებებია,  
ისიც ჰბაძაეს სხვა ქალაქებს,  
დღეს ათია რიცხვთ, მაგრამ  
ლავრენტის ხელს არვინ ახლებს.  
მითქმა მოთქმა იმის ხალხში:  
„ნათლი მამამ იფარავო.“  
ზოგიც ამბობს: „ის წავიდა  
გუშინ-წინ გაიპარავო“.  
დილის ათზე თუ თერთმეტზე  
მიაღება ხალხი საბჭოს  
და თხოვენ: ტყვე ვქნილ იქმნას  
სიკოცხლეც, რომ დაიხარჯოს..  
ჰა, საათის თორმეტია,  
ხალხით ზღვაობს არე მარე,  
დაჰკრა წუთმა და უბანი  
ისე იქცა ვით სამარე!..  
—ეპა მოჰყავთ!—„მოჰყავთ, მოჰყავთ.  
ეგ ჯალათი ხალხის მტერი!“  
—„მაღლობა ღმერთის, როგორც  
სჩანს

გასზეც მიდგა, —განსჯის ჯერი“.  
—„ვინ, ვინ არის?—აქ რომოჰყავთ,  
ჩვენი პოლიცემისტერი!“  
—„მახარაძე?—მახარაძე,  
ხალხისაგან დანაჭერი  
ხალხს ღელაცეს და ბობოქრობს,  
ხალხს სწყურია გასწორება,

მაგრამ ყველას შეაჩერებს  
ერთი სიტყვის გაგონება.  
როს ყოფილი დეპუტატი  
მოუწოდებს: — სიშვიდევო!  
„მას კანონი დასჯის, თქვენ კი  
გთხოვთ მანამდის იცდილევო“.  
„კანონითა დაისჯება“?!

კანონით, ხომ ის არ სჯიდა:  
შვა ქუჩაზე ტყვით გულში,  
შვა ქუჩაზე ხსალით სჭრიდა:  
უმართებლოთ „ეშაფოტი“,  
უმართებლოთ კატორებები,  
უმართებლოთ ყელზე თოკი,  
უმართებლოთ ბორკილები  
გაიხსენეთ „პროცესები“  
ყვირილისა; ერთი, ორი;  
გაიხსენეთ ის აღგილნი,  
სადაც მიწვდა მაგის ტორი  
და მაშინ სთქვით მეგობრები  
რით დავსაჯოთ ეგ მტარეალი,  
რომ მით ქმაყოფილი იყოს  
წარსული და მომავალი...  
მე თუ მკითხავთ აღარა მწამს  
არც კანონი, არც სასჯელი,  
რომელმაც ის ამოიზონს,  
რასაც ჰქმნიდა მისი ხელი.

სატანა.

## ვარღამური

არ არს გულ საშუალებიო,  
რომ ხალხის ნაბეჭებიო  
გამრავლენ ჯაშუაშებიო  
საქმეთა ჩამოფუშებიო,  
ეგ ბრიყვნი, პირქუაშებიო  
აწ მახვილ ნაჯგუაშებიო  
(სდევნიან მათ მუშებიო)  
მწარე ვით ტყის ნუშებიო,  
ციხეში ნაკუმშებიო  
არიან ნაქუჩებიო,  
რომ დაპერეს ჩაქუჩებიო  
დაიწყეს ლაქუცებიო.

— 6.

## მოთქან ჯიგირებისა

ვაჲ, ბედშაო დროებაე!

რათ გამოგვერ ყელები?

აღარც პოლიცია გვყავს,

არც უანდარმი, მცველები.

აწ რაღა გვეშველება,

ვინ გვეყოლოს მფარავი,

ვიღასთან შეენახოთ

ნიეთი მონაბარავი?

მეტათ მკაცრი ხალხია

ახალი მილიცია...

ვაჲ, რა წყალში ჩავარდე

ქრთამიც ვერ მიმიცია!

ნაცნობობა არ იცის,

არც პურ-ლვინო-ქალები...

მმასაც კი არ დაინდობს,

მე რათ შევებრალები?

აჲ, რა წყალში ჩავარდე,

ხალხი სულ გადირია...

დიძის, პატარას, ჩვენ სამტროდ

რათ შეუკრავს პირია?!

თითები რო გრძელი გვაჭვს

განა ჩვენი ბრალია?

შიმშილით რო ამოესწყდეთ

ნუ თუ სამართალია.

ვაჲ, ბედშაო დროებავ

რათ გამოგვერ ყელები?

აღარც პოლიცია გვყავს,

არც უანდარმი, მცველები.

შანთო.

## მოხსენება

პაგლე საყვარელიძისა.

27 მარტს, იასლი კლუბის დარბაზში დანიშული იყო პ. საყვარელიძის მოხსენება: შესახებ ნაციონალური საკითხებას, მოხსენება დანიშნული იყო სოციალ დემოკრატებისათვეს. კრებაზე გარეშემცირები გამოცხადდენ. მოითხოვეს გარეშემცირები კრებიდან წასულიყვნ. თავაჯდომარებ განაცხადა:

— ჩვენ წინადადება მივეცით, არა სოციალ-დემოკრატებმა დასტოვონ კრების დარბაზი და ვისაც სინდის აქვს დასტოვებს კიდევაც.

დარბაზში მართლა აღმოჩნდა რამოდენიმე  
უდისიერი არა სოციალ დემოკრატი და კრების  
რბაზიდან გაყიდა.

ცხრა მეათედი გარეშეებისა ესევ დარბაზში  
ჩაი.

ვისაცა ყურნი აქვდენ სმენად...

ჩქარა გამოსათქმელი. იმავ მოხსენებაზე პ-ნა  
ჟავა შეიმუშა ფრიად საგულისხმიერო ენას გა-  
უხსა, ანუ ჩქარა გამოსათქმელი.

„კანტი-კუნტი უკულტურ-კანტონ-ექსტერი-  
რიალური ავტონომისტი, უკვე გამრავალ  
ლტურ-კანტონ - ტერიტორიალურ - ავტონომის-  
ბულა“.

## ხონიდან

ეშმაკი წინ მიდის,  
მზეერავთა სარდალი,  
რაზმები თან ახლავს, და ჩვენ კი რა?!  
ეჭ, მიმძიმს, მაგრამ რათ,  
არა გსტევა მართალი,  
რომ უპატრონოები იქ დაგვყარა!?  
თან უნდა ახსოვდეს  
დიდ მთავარს, უხუცესს,  
ქართლ-კახეთს მგზავრობა რომ არ კმარა;  
დროს შესაფერისათ  
ცოტათი უკუდგეს—  
მეთ ხონში გამიჯვნა ჰქენას პატარა!  
და საქმის ვაცნობა  
მოითხოვს შეილებას,  
რომ მით გზას ეშმაკი არ გადაცდეს!  
ვეყრდნობი წინასწარ  
მუნ გამოცდილებას.  
ფაქტია, მითხარით: ვინ უარყოფს დღეს!

და თუ ეს ასეა  
სწორია თაქტიკა,  
ვაძლევ თავს უფლებას, დავიწყო მე:  
ვინ უარყო, ვინ დაგმა  
ცხოვრების პრაქტიკა?  
მუზავი შენ მოგიხმობ, შენიჭირიმე!  
ან ხონის გარნიზონს  
დღეს ვინა განაგებს?  
ის, კუნალაშვილი, თუ ვინმე სხვა (?)

ცხოვრების ფრგლებში  
ვინა მღერს სხვა ჰანგებს?  
„ახალი ცხოვრების, ახალი გზა!“  
მაგრამ დღეს მის გვერდით  
მუნ აღასრულებელს  
ვის ვხედავთ? ვინ არის? ან რა სულებს?—

— გორდებს, სამებას—  
მასიკოს—მათეს ხელს  
კურიოზს, არამზად და ორგულებს!  
— და სხვანიც არიან  
ესდეკთა სიაში—  
ჯერ ისევ დუმილით ვეპყრობი მას;  
ვინახავ, დროს შვილი  
დროთ უბის წიაღში  
ვატარებ, გულში ვკლავ ჩემს გულის თქმას!  
იკითხავ, ეშმაკო,  
ეს როგორ მოხდაო

დღეს, როცა უფლებით ხალხი სდგას წინ;  
შავი დრო წავიდა,  
შავი დრო მოკვდაო,  
ხალხი თვით ბრძანებლობს, გარეთ თუ შინ!

ვაგლაბ, რო აქ ხონში  
ხალხი სულ არა სხანს;  
და ისევ ობობა დაჰყვება ჭერს...  
სად არის, სად ვხედავ  
სიცოცხლის ჩენებს სიგანს!

როდესაც ობობა დღეს ისე მღერს?!?  
ობობა ბევრია,  
დღეს სახე ცვლილებით  
დაჰყვება ტორტმანით ბობოქარ ზღვას...  
ერთად ხელ ჩაკიდულ  
„გზა გადაჭრილებით“  
არღვევენ, ჩეხავენ ცხოვრების გზას!  
და, ამით თავდება  
დაბის მოხსენება,—  
თუმც ბევრის სახელი კი დავფარე  
რათ გვინდა? გვჭირდება  
სახელის სხენება?!

ისედაც ჯავრი გული ხომ ავყარე!

ი. გოლგოთელი.

სახუმარო ლექსებისა, მოთხრობებისა, იგავებისა და არაკების უზომოთ გაძვირებისა გამო, „ეშმაკის მათრაპის“ აღმასრულებელ კომიტეტისა, კომისარიატისა და თანამშრომელთა საბჭოს დადგენილებით

## ს ა ს ტ ი პ ა თ ა ღ ი პ რ ა ა ღ ა

ამ სააღდგომოთ კერძო პირთათვის

# მისალოცი კუპლეტების ცხოვრა.

ვთხოვთ საზოგადოება სიმშეიდით შეხვდეს ამ გადაწყვეტილებას.

ყოველ-კვირეული იუმორისტიული გამოცეა



— მიიღება ხელისმოწერა 1917 წლისათვის —


ეურნალის ფასი: 12 თვით 7 მ. —  
6 თვით 4 მ. — კ.  
3 თვით 2 მ. — კ.  
1 თვით — 70 კ.

ეშმაკის მათრაპში დაიბეჭდება მ ხ ო ლ თ დ იუმორის-  
ტული ზინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები,  
ზღაპრები, არაკები, შარადები, გამოცანები,  
ნაცვლებიდა სხვა.

შუალედის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებს ვ ჟ მ ა ქ ი,  
ხოლო გამოცემის სამხატვრო კანტორა „გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა“

რედაქცია სთხოვს როგორც თანამშრომლებს, ისე ხელის მომწერლებს რომ მასალები და  
მული ამ ადრესზე: გამოიგზავნონ თიფლის, С. Р. Тавартиკილაძე, Ольгинская, 6  
поч. ящ. № 96.

## საალდგომო მილოცვები



ამიერ-კავკასი ტურფა და ვრცელია  
მას ხალხი ასხია  
მრავალი, ქრელია.  
ქართველი, სომხი, რუსი და თათარი,  
სულუკელა აქ ცხოვრობს,  
სულუკელა აქ, არი.

ყოფილი მთავრობა ამ ნიაღაზედა,  
უყსა და ნოყიერს,  
სამეჯად კარგზედა,  
ხელუხვად სოფსავდა შურსა და მტრობასა  
სამარქს უთხრიდა  
მათ მეგობრობასა.

იქ, სადაც ერთობის ტაძარი შევენოდა,  
დღეს ტახტი ღალატსა  
და მტრობას შთენოდა.  
მაგრამ აწ ჯალათმა ხომ სული დალია  
იმისი დამზობაც  
ერთობის ბრალია!

და აი დრო ითხოვს კვლავ შეთანხმებასა,  
არ აჰყვეთ მოძმენო  
ღალატის მცნებასა.  
ერთობა ტახტია სამტკიცით ქებული,  
მას უნდა შესტროფოდეს  
დღეს ერთა კრებული.

ექს მინისტრები ციხეებს ზვერავენ  
პურის ცომს ჰეორგობიან,  
პურის ცომს ზელავენ.  
რწყილებს და ბალონჯოს ებრძვიან ამ უამა  
იქ, სადაც იმათვან  
ათასი ეჭამი.  
პირველი აღდგომა იგემეს ასეთი  
მოიმკეს სიუხვით  
წარსულში ნასეთი\*)  
მიეწყო მათ მათი ხალხ ნამსახურები  
და აპა დაუშვეს  
ცხვირნი და ყურები.  
სამსჯავრო ხალხისა სიქელით დიდია,  
თორემ ვინ მათვანი  
არ დასაკიდია?  
ვის არ სდევს ათასთა წამებულთ აჩრდილი,  
ათასი ბელშავი  
და სახელ ახდილი?  
ციხეებს აგებდენ სახალხო ქონებით,  
აამსეს ქვეყანა  
ბნელების მონებით  
და აპა ციხეში თვით მოიკალათეს,  
ჩვენც იგი მიუძღვნათ  
დღეს ხალხის ჯალათებს.

\*) სიტყვა „ნასეთი“ რითმის კეთილმოვანებისთვის  
არის ნახმარი. ნამდვილათ უნდა იყოს სიტყვა „ნათესი“.